პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 ოქტომბერი, კვირა, 1989 წ.
№ 208 (10 127) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენციის
# დეკლარაცია

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს სპორტული ფედერაციების, სპორტული საზოგადოებების, სპორტული კლუბების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, და რომელმაც 1989 წლის 6 ოქტომბერს საჯაროდ გამოაცხადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნება, მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, იყვნენ ოლიმპიური პრინციპების ერთგული დამცველები და მხარი დაუჭირონ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს რესპუბლიკის მოსახლეობის ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღისა და საქართველოს სპორტული აღმავლობისათვის ბრძოლაში.

კონფერენცია თვლის, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ორგანიზაციის ცენტრალიზებული სისტემა სრულყოფილად ვერ წყვეტს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურის ამაღლებისა და მასობრივი სპორტის საკითხებს, ვერ აუმჯობესებს ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ კონდიციებს, ვერ ახდენს კეთილისმყოფელ გავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ჯეროვნად ვერ უწყობს ხელს რესპუბლიკის სპორტული პოტენციის გამოვლენას.

ამასთან დაკავშირებით კონფერენცია მოითხოვს, რომ:

რესპუბლიკის სპორტული და ფიზკულტურული ცხოვრების ორგანიზატორებმა, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მკაცრად დაიცვან ოლიმპიური ქარტიის პრინციპები;

მასობრივი ტირაჟით გამოიცეს ოლიმპიური ქარტია და ოლიმპიურ მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები ქართულ ენაზე;

ფართოდ გაიშალოს და გაძლიერდეს ოლიმპიური მოძრაობა;

უზრუნველყოფილი იქნეს ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვის პირობები.

გაძლიერდეს ბრძოლა სპორტში დოპინგის გამოყენებისა და კორუფციის წინააღმდეგ.

კონფერენცია რეკომენდაციას აძლევს საქართველოს სპორტულ ფედერაციებს, გარდაიქმნან რესპუბლიკის სპორტის დამოუკიდებელ და სრულუფლებიან ხელმძღვანელ ორგანოებად შესაბამის სახეობებში, დაამუშაონ და მიიღონ დებულებები მათი უფლებების, მოვალეობების, სტატუსის შესახებ, აქტიურად განახორციელონ თავიანთი ფუნქციები.

კონფერენციას მიაჩნია, რომ საქართველოს სპორტულმა ფედერაციებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ საბჭოთა კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და სხვა ქვეყნების სპორტულ ფედერაციებთან; მონახონ გზები და საშუალებები შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებში გაწევრიანებისათვის.

საქართველოს სპორტული ფედერაციების საქმიანობა მიმართული უნდა იყოს იქითკენაც, რომ რესპუბლიკის ყველა სპორტსმენს, რომელმაც მიაღწია ოსტატობის შესაბამის დონეს, შეეძლოს შეუზღუდავად მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებში, ოლიმპიურ თამაშებში.

კონფერენცია იწონებს საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბის შექმნას, როგორც საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის აღმავლობის ერთ-ერთ მძლავრ საფუძველს და მოუწოდებს კლუბის ყველა წევრს, აქტიურად ითანამშრომლოს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან მისი საერთაშორისო აღიარებისა და ოლიმპიური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის.

კონფერენციას მიაჩნია, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა, მისი საერთაშორისო აღიარება, ოლიმპიური მოძრაობის ფართოდ გაშლა და საქართველოს გუნდის გაგზავნა ოლიმპიურ თამაშებზე ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე.

**მიღებულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელ კონფერენციაზე 1989 წლის 6 ოქტომბერს.**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენციის
# დადგენილება

**საქართველოს (სპორტული ფედერაციების, სპორტული საზოგადოებების, სპორტული კლუბების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია ერთხმად ადგენს:**

**საერთაშორისო** ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის, ოლიმპიური იდეალების პროპაგანდის, რესპუბლიკის მოქალაქეთა ფიზიკური და სულიერი გაჯანსაღების, აგრეთვე საქართველოს სპორტული პოტენციის სრულად გამოვლენის მიზნით, ოლიმპიური ქარტიის, საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შემოკლებული სახელწოდებაა სეოკ-ი. მისი არსებობის ვადა არ არის განსაზღვრული.

**სეოკ-ი** არის იურიდიული პირის სტატუსით აღჭურვილი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

**სეოკ-ი** აღიარებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლეს ხელისუფლებას და ოლიმპიური ქარტიის უზენაესობას.

**სეოკ-ის** შტაბ-ბინა მდებარეობს ქალაქ თბილისში.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე.

---

სსრ კავშირის
ჩემპიონატი
კალათბურთში

# ახლა ქულებია მთავარი

**თბილისი. კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 27 ოქტომბერი.**

**„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 69:68 (42:33).**

**„დინამო“: კროპაჩოვი (19), დარსაძე (11), დაუშვილი (11), კოლიჩევი (11), უსტიაშვილი (9), ვაშაკიძე (4), სანაძე (3), ფერიაშვილი (1), შენგელია.**

**„შახტიორი“: კაჩურა (16), პოლივანოვი (11), შესტოპალი (10), ივჩატოვი (8), ანტონენკო (8), ლუკიანეცი (6), კოლშინი (4), გაზაევი (3), უშაკოვი (2).**

**მსაჯები: ი. აპოლონოვი (ლენინგრადი) და გ. ოსიაშვილი (თბილისი).**

**თბილისის** დინამოელებს ამ დღეს, სულ ცოტა ორჯერ ჰქონდათ შესაძლებლობა კარგი ანგარიშით მოეგოთ მატჩი, მაგრამ ორივეჯერ ზედმეტი ნერვიულობისა და აქედან გამომდინარე უყურადღებობის გამო დათმეს ინიციატივა და საბოლოოდ უპირატესობა მინიმუმამდე დაიყვანეს. მაგრამ თუ „დინამოს“ დღევანდელ მდგომარეობას გავიხსენებთ, ანგარიშს ყურადღება არც უნდა მივაქციოთ. დღეს ჩვენს გუნდს მხოლოდ გამარჯვება სჭირდება, გამარჯვება ნებისმიერ მატჩში და ნებისმიერი ანგარიშით.

შეხვედრის დასაწყისი, ტრადიციულად ნერვიული და ქაოტური გამოდგა. მაგრამ გონს პირველად სტუმრები მოვიდნენ, რომლებმაც კარგად გამოიყენეს თბილისელთა შეცდომები და დაწინაურდნენ. მერე უკვე, როცა პირველი მღელვარების წუთები ჩაცხრა და მეტნაკლებად აღდგა წონასწორობა, გამოირკვა, რომ „დინამოს“ შეუძლია ამ შეხვედრის მოგება და საკმაოდ დამაჯერებლადაც. ამის გარანტიას იძლეოდა პირველი ტაიმის ანგარიში.

მეორე ნახევარში განმეორდა იგივე სურათი, რაც შეხვედრის დასაწყისში და დინამოელთა უპირატესობაც თვალსა და ხელს შუა გაქრა, უფრო სწორად, ყველაფერი თავიდან დაიწყო. ამ უაღრესად კრიტიკულ მომენტში მასპინძლებმა შეძლეს ძალების მობილიზება, და გარკვეულწილად გარდატეხა შეიტანეს თამაშში. 32-ე წუთიდან ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ ჩვენმა გუნდმა კიდევ ერთხელ დაკარგა ბრძოლით მოპოვებული უპირატესობა და ერთგვარად გააუფერულა შთაბეჭდილება.

მაგრამ, ვიმეორებთ, დღესდღეობით ლამაზ და ეფექტურ თამაშზე ლაპარაკი ზედმეტ ფუფუნებად მიგვაჩნია. „დინამოსათვის“ ყოველ ქულას, ყოველ გამარჯვებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და გუნდმა ყველაფერი უნდა იღონოს მდგომარეობის გამოსასწორებლად. გუშინწინ მაყურებლებმა ბოლოს და ბოლოს მოედანზე იხილეს დარსაძე და შენგელია. ისინი ჯერ, რა თქმა უნდა, არ არიან ჩვეულ ფორმაში, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ თამაში შეუძლიათ. საკავშირო ჩემპიონატში ხანმოკლე შესვენება იწყება და იმედია ტრავმირებული მოთამაშეები მოახერხებენ ძალების აღდგენას.

### სხვა მატჩები

**გაიმართა** კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**ლენინგრადი.** ადგილობრივი „სპარტაკი“ ნელ-ნელა აღწევს თავს საშიშ ზონას. აი ახლაც, მან ორჯერ უმასპინძლა ვილნი „სტატიბას“ და ორივე შე მოუგო 89:76 (48:44) და 74: (34:39).

**მოსკოვი.** აქ ერთმანეთს შე დნენ ლიდერთა ჯგუფის წარმომა დგენლები — ცსკა და ტალი „კალევი“. ბრძოლა მეტ-ნაკლ დაძაბული იყო მხოლოდ პირვ ნახევარში, რომელიც არმიელ მოიგეს 7 ქულით (38:31). შე ნების შემდეგ ცსკა-მ შეინარჩუნა უპირატესობა და გაიმარჯვა — 8 69.

**მინსკი.** რადიოტექნიკის ტიტუტის გუნდმა ენერგიულ ჩაატარა პირველი მატჩი ალმა არმიელებთან და დაამარცხა — 99:93 (48:40).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ოქტომბრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 12 | 11 | 1 | 23 |
| „კალევი“ (ტალინი) | 13 | 8 | 5 | 21 |
| ასკ (ალმა-ათა) | 13 | 8 | 5 | 21 |
| „დინამო (მ.) | 12 | 8 | 4 | 20 |
| „სპარტაკი“ (ლენ.) | 14 | 6 | 8 | 20 |
| რტი (მინსკი) | 13 | 7 | 6 | 20 |
| „ბუდიველ.“ (კ.) | 12 | 7 | 5 | 19 |
| ვეფ (რიგა) | 12 | 7 | 5 | 19 |
| „ჟალგირ.“ (კაუნ.) | 12 | 6 | 6 | 18 |
| „შახტიორი“ (დონ.) | 13 | 4 | 9 | 17 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 14 | 2 | 12 | 16 |
| „დინამო“ (თბ.) | 12 | 2 | 10 | 14 |

# რევაზ ლოხიშვილი ჩემპიონია

**თანამედროვე ხუთჭიდელთა რესპუბლიკის ჩემპიონატის ბოლო სახეობა ცხენოსნური კონკურიც, რომელიც გუშინ დელისის იპოდრომზე გაიმართა, შესანიშნავად განვლო ასპარეზობის ლიდერმა რევაზ ლოხიშვილმა („შევარდენი“) და მოიპოვა ჩემპიონობა. მომდევნო ადგილებზე არიან დინამოელი სპორტსმენები ა. ბელოუსოვი და კ. ბესკარავაინი. ანგარიშს ხუთჭიდელთა ასპარეზობაზე უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.**

**სურათზე: საქართველოს 1989 წლის ჩემპიონი რ. ლოხიშვილი ცხენოსნურ კონკურში ასპარეზობისას.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## გუშინ...

**კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში თბილისის „დინამომ“ საკავშირო ჩემპიონატის განმეორებით მატჩში დონეცკის „შახტიორს“ უმასპინძლა და ამჯერადაც გაიმარჯვა — 93:88 (43:46).**

# ითქვა ნაკლზეც

**რესპუბლიკის** პროფკავშირული ორგანიზაციების ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის მუშა ჯგუფმა მორიგ სხდომაზე განიხილა მეტალურგიული მრეწველობის სისტემის წარმოება-დაწესებულებებში ფიზკულტურულ-მასობრივი, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. მოისმინა, აგრეთვე, ინფორმაციები მუშა ჯგუფის სხდომებზე ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ, ბავშვთა და მოზარდთა კლუბების მუშაობის გაუმჯობესებისა და ამ მიზნით საქართველოს პროფსაბჭოს მიერ გამოყოფილი საშტატო ერთეულების გამოყენების შესახებ და მედიცინის სისტემის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ფიზკულტურულ-მასობრივი, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სხდომაზე მიღწევებთან ერთად ითქვა ნაკლოვანებებზეც, რომელთა აღმოსაფხვრელად გამოითქვა კონსტრუქციული მოსაზრებები და წინადადებანი.

სხდომის შედეგები შეაჯამა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა პეტრე ჩხეიძემ.

# ეწვიეთ გამოფენა-კონკურსს

**საქართველოს** ეროვნული ბიბლიოთეკის ფოიეში გაიხსნა 1970-1989 წწ. ქართულ ენაზე გამოცემული სპორტული ლიტერატურის გამოფენა-კონკურსი.

გამოფენაზე წარმოდგენილია სამი თემატიკური ციკლი: სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა და სპორტული მედიცინა, ბიოგრაფიულ-სპორტული, აგრეთვე, ილუსტრირებულ-რეკლამური ხასიათის ლიტერატურა. გამოფენა ორ კვირას გაგრძელდება.

**ვაჟა ნუცუბიძე.**

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამი ფიქრისა. ჟამი განსჯისა

# ხვალ რომ არ ჩამოვრჩეთ...

**საკავშირო** ახალგაზრდულ თამაშებში საქართველოს აკრობატთა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა, სწორედ ის, რომელსაც დაგვპირდნენ: საგულისხმოა ისიც, რომ 17-დან 11 სპორტსმენი პრიზიორი გახდა, პარალელურ ჩათვლაში კი აკრობატიკის რესპუბლიკურმა სკოლამ (დირექტორი მიხეილ გეგელია) ამავე პროფილის 30 სკოლას შორის ზედიზედ მეხუთედ დაიკავა პირველი ადგილი. გარდა ამისა, გუნდურ ჩათვლაში საქართველოს წარგზავნილები მხოლოდ 34 ქულით ჩამორჩნენ მეორე პრიზიორს — რუსეთის ფედერაციის გუნდს, თავის მხრივ კი 226 (!) ქულით გაუსწრეს მეოთხე ადგილზე გასულ იაროსლავლის ნაკრებს. ეს მაშინ, როცა ჩვენს გუნდში არ გამოდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონები: ინგა გიორგობიანი, ნატალია ანისიმოვა და სვეტლანა მაკარიჩევა.

თქმა არ უნდა, საკმაოდ შთამბეჭდავი სტატისტიკაა, მაგრამ წარმატებასაც და წარუმატებლობასაც განსჯა სჭირდება, რათა სამომავლო გეგმები დავსახოთ.

მაშ ასე, რამ განაპირობა ჩვენი აკრობატების წარმატება?

მთავარი და არსებითი რესპუბლიკის აკრობატიკის მაღალი დონეა — ჩვენი მწვრთნელები კვალდაკვალ მიჰყვებიან იმ პროგრამას, რომელიც უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გართულდა და რომელსაც რესპუბლიკათა უმრავლესობამ მხარი ვერ აუბა. აქვე უნდა ვთქვათ, მათ შორის ისეთებიც არიან, რომლებიც თითო-ოროლა ძლიერი რგოლით გამოირჩევიან, მაგრამ სტაბილური, ძირითადად მაღალი დონის სპორტსმენებით დაკომპლექტებული გუნდები მხოლოდ უკრაინას, რუსეთის ფედერაციას და საქართველოს ჰყავთ. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ჩვენმა აკრობატებმა ვინიცაში ხუთი ვარჯიში შეასრულეს და არც ერთი სერიოზული შეცდომა არ მოსვლიათ — ყველა პრიზიორმა ორი და მეტი ქულით გადააჭარბა ოსტატის ნორმატივს. როგორც შეჯიბრებამ გვიჩვენა, მწვრთნელები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ აღმზრდელობით მუშაობასაც — ახალგაზრდულ თამაშებში აკრობატთა მხრიდან დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

მწვრთნელთა ვარაუდით, ვინიცაში „ყველა სინჯის" თითო მედალი უნდა მოგვეპოვებინა. გამარჯვების ყველაზე რეალური პრეტენდენტები იყვნენ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვლადიმერ გურგენიძის აღზრდილები ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი და სვეტლანა მაკარიჩევა. ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშში მეორე ადგილს უგეგმავდნენ ალექსანდრე მავრანგელოვის შეგირდებს (ვილი ვართანოვი, აფანასი იანაკოევი, იოსებ თუთბერიძე, სტანისლავ პეტროვი), ხოლო ბრინჯაოს მედლები უნდა მოეპოვებინა გია მახარაძის მომზადებულ შერეულ წყვილს (ირმა ოვოიანი, რომანოზ კუხალეიშვილი). მსოფლიო ჩემპიონების (სამეულის) გამოკლებამ გუნდი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მიუხედავად ამისა, ოთხეულმა და შერეულმა წყვილებმა მწვრთნელებს „გეგმები აურიეს" და ნავარაუდევზე თითო საფეხურით მაღლა აიწიეს — ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ასევე სიურპრიზი შემოგვთავაზეს გოგონათა წყვილების შეჯიბრებაში თინათინ ვარდიძემ და თამარ ბეროზაშვილმა, სამეულებში — ნანა პატარიძემ და დებმა თამილა და მანანა მორბედაძეებმა.

ჩვენი ანგარიში სრული არ იქნება, თუ კიდევ ერთხელ (ამის შესახებ სხვა დროსაც ბევრჯერ გვითქვამს) არ შევეხებით ნაკრები გუნდის მზადების სიძნელეებს.

**მიხეილ გეგელია, აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლის დირექტორი:**

— ჩვენი პრობლემები უპირველესად ვარჯიშის პირობებთან არის დაკავშირებული. ცხადია, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სპორტული ბაზების ხარისხითა და რაოდენობით ჩვენი რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციას და უკრაინას შევადარო. ეს ალბათ წარმოუდგენელია. მაგრამ, როცა ვორონეჟსაც კი, რომლის წარმომადგენლებმა ახალგაზრდულ თამაშებში 22-ე ადგილი დაიკავეს და მხოლოდ 38 ქულა დააგროვეს, აკრობატიკის სასახლე აქვს, ცხადია, არ შეიძლება გული არ დაგწყდეს. ისეთ ქალაქებშიც კი, სადაც აკრობატიკის ტრადიციები თითქმის არ არის, მზრუნველობას არ აკლებენ ამ სახეობას, ჩვენ დაპირებითაც არავინ გვპირდება, ასე თუ ისე, შესაფერი პირობების შექმნას. მოგეხსენებათ, ჩვენს მხტომელებს არაერთ შეჯიბრებაში მოუპოვებიათ გამარჯვება, მაგრამ ბოლო წლებში მათი გამოსვლები ერთგვარად გაუფერულდა. ეს იმანაც გამოიწვია, რომ ორი წლის წინ მძიმედ დაშავდა საბჭოთა ნაკრების წევრი ჯონდო მარიდაშვილი. მაგრამ ჩამორჩენის მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ჩვენში ამ სახეობის ყველაზე დიდმა სპეციალისტმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ჯუმბერ ლამხმა ხელი შეუშვა საქმეს — ოჯახს მოეკიდა და გაუჭირდა თვეების მანძილზე შეკრებებზე ყოფნა. ბოლო ხანს მწვრთნელს მაინც არ მოუთმინა გულმა და შედეგიც დავინახეთ: მისმა შეგირდმა, მსოფლიო თასის გათამაშების ვერცხლის პრიზიორმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გია მარმარაშვილმა, რომელიც უკვე ოცდახუთი (!) წლისაა, ახლახან საკავშირო თასის გათამაშებაში, აკრობატიკის ისტორიაში პირველად შეასრულა უნიკალური ელემენტი — სამმაგი მალაყი გაშლილი ტანით. ამას წინ უძღოდა ოსტატისა და შეგირდის ხანგრძლივი „გასტროლები" სხვათა სპორტულ ბაზებზე სავარჯიშოდ.

● **ბათუმის სპორტული სკოლის სახტომ ბილიკს რატომ ვერ იყენებთ?**

— ამ ბაზის ბილიკს ორმო არა აქვს, უამისოდ კი სრულყოფილი წვრთნა გამორიცხულია. გარდა ამისა, მხტომელებს ძალიან რთული ელემენტების შესრულება უხდებათ და საჭიროა დაკიდებული დამცველი ქამარი, რომელიც სპორტსმენთან ერთად მთელ ბილიკზე იმოძრავებს.

● **სპორტში ტრავმისგან არავინ არის დაზღვეული. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სახეობაში, მათ შორის აკრობატიკაშიც, ტრავმა ხშირად სპორტსმენის ტექნიკური მომზადების ხარვეზთანაა დაკავშირებული...**



— მიგიხვდით, — ინგა გიორგობიანის სპორტული მომზადება ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. იგი მწყობრიდან სვეტლანა მაკარიჩევამ გამოიყვანა. სვეტლანა რეჟიმს ვერ იცავდა, წონაში მოიმატა — 39-ის ნაცვლად 44 კილოგრამია. ერთ-ერთ ყირაზე იგი ინგას უხერხულად დაეცა მკლავზე და ტრავმაც ამან გამოიწვია. აქვე უნდა განვმარტო — მაკარიჩევას კვების რეჟიმი იმიტომ დაირღვა, რომ ჩვენი სპორტსმენების სასტუმროში დაბინავება ვერ მოხერხდა, თუმცა მათი დამრიგებელი ვლადიმერ გურგენიძე დაჟინებით მოითხოვდა ამას. მოგეხსენებათ, შინ როგორც უნდა ეცადო, რეჟიმის დაცვას, ხანდახან მაინც შეიძლება სულმა წაგძლიოს...

● **რამდენადაც ვიცი, საქართველოს ნაკრები ამ დროს ვორონეჟში იყო შეკრებაზე. რატომ არ წავიდნენ ამ შეკრებაზე მსოფლიო ჩემპიონები?**

—საქმე ისაა, რომ ჩემპიონებს წვრთნის უფრო ინტენსიური რეჟიმი აქვთ. ამ დროს მათ ხელი არავინ უნდა შეუშალოს, ეს კი ნაკრებთან ვარჯიშის დროს შეუძლებელია. სხვათა შორის, ახლა სამეული უკვე მეორედ გადახალისდა — ტალინელი სვეტლანა მაკარიჩევა კვლავ თავის ქალაქს დაუბრუნდა, ხოლო მის ადგილზე ვლადიმერ გურგენიძემ დააყენა ახალგაზრდული თამაშების ვერცხლის პრიზიორი (შერეულ წყვილთა შორის) ირმა ოვოიანი. ირმა ნიჭიერი, ნებისყოფიანი სპორტსმენია და, იმედი გვაქვს, მალე აუბამს მხარს თავის ტიტულიან კოლეგებს.

● **რას იტყვით ჩვენი აკრობატიკის მომავალზე?**

— იმისთვის, რომ საპრიზო სამეულში ჩვენი პოზიციები კვლავ მტკიცე იყოს, გვჭირდება თანამედროვე ტიპის დარბაზი, სადაც ზამთარ-ზაფხულ დაუბრკოლებლად ვივარჯიშებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენიმე წელიწადში ისეთ გუნდებს შორის მოვხვდებით, სადაც, ვთქვათ, მეოთხე და მეთხუთმეტე ადგილებს შორის სხვაობა (ახალგაზრდული თამაშების მიხედვით მოგახსენებთ) მხოლოდ 40 ქულაა.

ჯემალ კასრაძე.

# აფრები შემოდგომის ზღვაში

**ბათუმის** ნავსადგურის აკვატორიაში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი საიალქნო სპორტში. თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ფოთის იახტსმენთა ნაკრები გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პროგრამის ოთხ სახეობაში: „470", „ფინის", „სხივის" კლასის იახტებითა და აფრიანი დაფით რბოლაში.

რესპუბლიკის ჩემპიონატის გათამაშების შემდეგ გაიმართა საბჭოთა კავშირის გმირის ი. იოსელიანის ხსოვნის მემორიალი, რომელშიც დაახლოებით ორმოცდაათი იახტი მონაწილეობდა.

• • •



**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: თბილისელებმა ვიტალი გახოკიძემ და მამუკა გოდიბაძემ პირველი ადგილი დაიკავეს „470" კლასის იახტით; რბოლა ბათუმის აკვატორიაში; საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორები (მარცხნიდან) — თბილისელები ოლეგ და სვეტა პარაფილოვები, ფოთელები ლალი გერსამია და ილონა აპხაიძე.**

ნ. ანასტასიევის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# სტუდენტები ტურისტული მრავალჭიდის ტრასებზე

**ამას** წინათ ლისის ტბის შემოგარენის მყუდროება დაარღვიეს რესპუბლიკურ ტურისტულ მრავალჭიდში მონაწილე სტუდენტებმა, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების პირველობაში იყვნენ ჩაბმულნი.

წვიმას, დილიდან რომ მოდიოდა, ოდნავადაც არ შეუნელებია ასპარეზობის მონაწილეთა სპორტული ცეცხლი და შემართება. მასპინძლებთან ერთად ადევნებდნენ თვალს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოსული აქაური კემპინგის სტუმრები ტურისტთა მიერ [illegible] მონაკვეთისა და მერყევი ძელის გადალახვას, მიზანში ხელყუმბარის ტყორცნას, დაშავებულის ტრანსპორტირებასა და სხვა...

უძლიერესის სახელი და ფასიანი ჯილდო მოიპოვეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეოსა და სპი-ის სტუდენტები. თუმცა ასპარეზობა გუნდური იყო, მაგრამ მაინც უნდა გამოვყოთ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტების მერაბ ხერგიანისა და ნაზი დეკანოზიშვილის მაღალი ოსტატობა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა დეკანოზიშვილმა, რომელიც შესანიშნავადაა დაუფლებული ტურიზმის ჩვევებსა და ზუსტად ტყორცნიდა ყუმბარას.

რა დასამალია, ჩვენი სტუდენტობა არც თუ ისე განებივრებულია მსგავსი ასპარეზობებით, ამიტომ სასურველია, რომ შემდგომში უფრო ხშირად ვიხილოთ ისინი ტურისტულ ბილიკებსა და ასპარეზობებზე.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ასპარეზობის მსაჯთა კოლეგიის ოპერატიული და ზუსტი მუშაობა მთავარი არბიტრის, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის გ. გულბანის მეთაურობით.

დავით ქოქაშვილი.

სსრ კავშირის პირველობა
კალათბურთში ● I ლიგა

# სპი ლიდერთა ჯგუფში



**პირველი** ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობაზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს ზედიზედ მოუწია ლიდერებთან შეხვედრა. ამას წინათ მისი მეტოქე იყო სვერდლოვსკის „ურალმაში", რომელიც შარშან უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა. განვლილ ექვს მატჩში მათ 5 ორთაბრძოლა ჰქონდათ მოგებული და ფრუნზეს „სტროიტელთან" ერთად I-II ადგილებს იყოფდნენ. ჩვენმა გოგონებმა ლიდერის წინააღმდეგ დიდი აღმავლობით იბრძოლეს. ისინი ორივე შეხვედრაში სწრაფი და გააზრებული კომბინაციების წყალობით ადვილად აღწევდნენ უპირატესობას მოწინააღმდეგის ფარქვეშ, კოლექტივის ყველა რგოლი შეთანხმებულად მოქმედებდა. ყოველივე ამან მასპინძლებს წარმატება მოუტანა.

პირველ შეხვედრაში დაცვის აქტიური ხელშეწყობით შეტევის წინა ხაზზე საიმედოდ მოქმედებდნენ გუნდის ლიდერი მედეა მხეიძე და ნატო ლორია. სტუმართა ერთ-ერთ გამოცდილ მოთამაშეს ელენა გონტარევას (სიმაღლე 198 სმ.) მხეიძის ნეიტრალიზება ჰქონდა დავალებული, მაგრამ ეს პაექრობა მხოლოდ 23 წუთს გაგრძელდა, რადგან მეორე ნახევრის დასაწყისშივე გონტარევამ ხუთი პერსონალური ჯარიმის გამო მოედანი დატოვა. „ურალმაშის" მწვრთნელებმა ქართველი სპორტსმენის მეურვეობა ახლა კავშირში ერთ-ერთ ყველაზე ტანმაღალ კალათბურთელს მარინა ბურმისტროვას (205 სმ) მიანდვეს, მაგრამ ახალბედა სპორტსმენმა (იგი 15 წლისაა მხოლოდ) მოვალეობას თავი ვერ გაართვა, და არა მარტო მან. სპი-ის კალათბურთელებმა ეს შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგეს — 80:61 (38:31). მედეა მხეიძემ ამ დღეს 34 ქულა შესძინა კოლექტივს, ნატო ლორიას ანგარიშზეა 15 ქულა. სტუმართაგან ტატიანა მასკაევამ და ლუდმილა მიცკევიჩმა 13-13 ქულა მოუტანეს გუნდს.

განმეორებითი მატჩიც თბილისელთა სცენარით წარიმართა. ისინი ამ შეხვედრაშიც ჯობდნენ მეტოქეს სისწრაფით, ზუსტი სროლებით, დაცვის ორგანიზაციით, ფარქვეშ თამაშით. საქართველოს კალათბურთელებმა პირველი წუთებიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და ორთაბრძოლის ბოლომდე არ დაუთმიათ იგი. იყო მომენტები, როცა ჩვენი გოგონები შეხვედრას 20-23 ქულითაც იგებდნენ, საბოლოოდ კი 15-ქულიან სხვაობას დასჯერდნენ —82:67 (48:39). თბილისელებმა აქტივში მე-5 ქულა ჩაიწერეს და ლიდერთა ჯგუფში გადაინაცვლეს. მასპინძელთაგან თავი გამოიჩინეს მედეა მხეიძემ — 21 ქულა, ნინო სირაძემ — 16 ქულა, თამარ ბუილიშვილმა — 15 ქულა. სტუმართაგან კვლავ ლუდმილა მიცკევიჩმა იმარჯვა — 25 ქულა.

სპი-ის კალათბურთელები მომდევნო თამაშებს 4-5 ნოემბერს ისევ თბილისში ჩაატარებენ. მათი მეტოქე პენზის „სპარტაკი" იქნება.

ვაჟა დანელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**27 ოქტომბერს** გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრები. თბილისის „დინამოელებმა" 52-ე ჩემპიონატის დასკვნითი მატჩი კიევში, ადგილობრივ თანაკლუბელებთან ჰქონდათ.

ამ შეხვედრას მასპინძელთათვის, პრაქტიკულად, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მატჩის ნებისმიერი ანგარიშით დამთავრების შემთხვევაშიც ისინი მაინც მესამე ადგილს ვერ სცილდებოდნენ. ხოლო თბილისელებს მატჩის ფრედ დამთავრებაც აძლევდათ ხელს, რადგანაც ისინი სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით წინ გადაინაცვლებდნენ. უნდა ითქვას, რომ თბილისელებმა ამ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი, თანაკლუბელთა ორთაბრძოლა ფრედ — 2:2 დამთავრდა.

ანგარიში ამ მატჩში მასპინძლებმა გახსნეს: ბესონოვმა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ შეხვედრაში, დააწინაურა თავისი გუნდი. გოგიჩაიშვილმა თერთმეტმეტრიანით გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

შეხვედრის მეორე ნახევარში კიეველმა კუზნეცოვმა თავით ბურთის მიმართულება შეუცვალა და თბილისელები კვლავ მდევრის როლში აღმოჩნდნენ. შეხვედრის ბოლო წუთებზე, დიდი ხნის შესვენების შემდეგ, მოედანზე გამოვიდა გ. ცაავა, სწორედ მის მიერ მეტოქის საჯარიმოში ჩამოწოდებულ მაღალ ბურთს ქეცბაიამ კარგად შეურჩია ადგილი და თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. დროის დარჩენილ წუთებში ორივე კართან რაიმე სახიფათო მომენტი აღარ შექმნილა — თანაკლუბელებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

ჩემპიონატის ბოლო ტურში ოდესაში „ჩერნომორეცმა" ლენინგრადის „ზენიტს" უმასპინძლა, გაიმარჯვეს ოდესელებმა — 3:2, მინსკის „დინამომ" თავის მოედანზე დაამარცხა ერევნის „არარატი" — 2:0.

მოსკოვის „სპარტაკი" მეთორმეტედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ვერცხლის მედლებს 52-ე ჩემპიონატში დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ფეხბურთელები დაეუფლნენ, ხოლო ბრინჯაოს — კიევის დინამოელები. უმაღლესი ლიგა დატოვეს მოსკოვის „ლოკომოტივმა" და ლენინგრადის „ზენიტმა". ვილნიუსის „ჟალგირისი" მეოთხე ადგილზე გავიდა და მომავალ წელს უეფა-ს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

### 52-Ე საკავშირო ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 30 | 17 | 10 | 3 | 49-19 | 44 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 30 | 18 | 6 | 6 | 47-27 | 42 |
| „დინამო" (კიევი) | 30 | 13 | 12 | 5 | 44-27 | 38 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 30 | 14 | 8 | 8 | 39-29 | 36 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 30 | 11 | 13 | 6 | 40-26 | 35 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 30 | 11 | 9 | 10 | 40-41 | 31 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 30 | 10 | 10 | 10 | 30-33 | 30 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 30 | 9 | 12 | 9 | 31-26 | 30 |
| „დინამო" (მინსკი) | 30 | 11 | 7 | 12 | 35-33 | 29 |
| „როტორი" (ვოლგოგრადი) | 30 | 9 | 9 | 12 | 28-35 | 27 |
| „დინამო" (თბილისი) | 30 | 6 | 13 | 11 | 27-32 | 25 |
| „არარატი" (ერევანი) | 30 | 8 | 8 | 14 | 25-41 | 24 |
| „პამირი" (დუშანბე) | 30 | 7 | 10 | 13 | 20-38 | 24 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 30 | 9 | 5 | 16 | 24-36 | 23 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 30 | 7 | 9 | 14 | 20-32 | 23 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 30 | 5 | 9 | 16 | 24-48 | 19 |

## ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

**როგორც** ცნობილია, 27 ოქტომბერს გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის 1989 წლის ჩემპიონატის ბოლო ტური. „ლელოს" 28 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ამ ტურის შეხვედრათა ანგარიშები. გაზეთის ბეჭდვის გრაფიკით დროის შეზღუდულობის გამო რედაქციამ ინფორმაციის წყაროდ გამოიყენა რადიორეპორტაჟი კიევიდან, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ კიეველი და თბილისელი თანაკლუბელები. სამწუხაროდ, კომენტატორის ინფორმაცია ზოგიერთი თამაშების ანგარიშის შესახებ მცდარი გამოდგა.

ასე, მაგალითად, ვილნიუსის „ჟალგირისისა" და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2:1 და არა 4:0, როგორც ეს გადმოსცა რადიოკომენტატორმა. ასევე შეცდომით იყო გადმოცემული მოსკოვის „ლოკომოტივისა" და დონეცკის „შახტიორის" შეხვედრის შედეგიც (2:1). მატჩი დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით — 1:0.

# საინტერესო შეხვედრები

**დასასრულს** უახლოვდება პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საკავშირო თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალური მატჩი გაიმართება ხვალ თბილისის „შევარდენის" სტადიონზე. ერთმანეთს ფოთის „კოლხეთი" და კიროვაბადის „ქიაფაზი" შეხვდებიან. თამაში 13 საათზე დაიწყება.

ასევე 29 ოქტომბერს გაიმართება სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან რუსთავის „მეტალურგი" და ოზურგეთის „მერცხალი". თამაში შედგება თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე, დასაწყისი 15 საათზე.

# მეოთხედი საუკუნე გასულა...

**ქართველ** ფეხბურთის გულშემატკივრებს დღესაც ახსოვთ 1964 წლის 18 ნოემბერი. ამ დღეს ტაშკენტში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ასრულდა ჩვენი დიდი ხნის ოცნება — საქართველოს პირველმა გუნდმა დამაჯერებლად განვლო მთელი ჩემპიონატი და მოსკოვისა და კიევის შემდეგ მესამე ქალაქად იქცა, რომელიც მაღალ ჯილდოს დაეუფლა. 1964 წლის საფეხბურთო სეზონის მიწურულს თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ, დებულების თანახმად, მათ შორის დამატებითი შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე დაინიშნა. უაღრესად დაძაბული ორთაბრძოლის ძირითადი

დრო ფრედ — 1:1 დამთავრდა, დამატებით დროში კი თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო, მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1 და საბჭოთა კავშირს ახალი, ღირსეული ჩემპიონი მოევლინა.

ამ მატჩის შემდეგ საუკუნის მეოთხედმა განვლო. 25 წელი ისტორიისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, ფეხბურთში კი ეს ციფრი ბევრის მთქმელია. ამ დროის მანძილზე ბევრმა წყალმა ჩაიარა, იყო გამარჯვებებიც, იყო მარცხიც. გუნდში თაობა თაობას ცვლიდა, მრავალმა ქართველმა დინამოელმა თავისი წარუშლელი კვალი დატოვა ფეხბურთის ისტორიაში. ამ პერიოდში თბილისის „დინამო" საკავშირო ჩემპიონატში ნამდვილ ფლაგმანს წარმოადგენდა. ძნელია გაიხსენო ამ დროის საკავშირო ნაკრები, რომლის ღირსებას ქართველი ფეხბურთელები რომ არ იცავდნენ, მათ თამაშს ყოველთვის განსაკუთრებული ხიბლი და სილამაზე ახლდა. ამიტომაც იყო, რომ მაშინდელი ნაკრების ხელმძღვანელები ჩვენი გუნდიდან მეორე ნომრად არავის იწვევდნენ — მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, კახი ასათიანი, გივი ნოდია, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია — ეს ის ფეხბურთელებია, რომლებიც წლების მანძილზე უცვლელად გამოდიოდნენ ქვეყნის პირველი გუნდის შემადგენლობაში.

სამოცდაათიანი წლების ბოლოს თბილისის „დინამო" კვლავ მოწინავეთა რიგებშია. ამ პერიოდში ჩვენი გუნდი ორჯერ დაეუფლა საბჭოთა კავშირის თასს, კვლავ გაიმეორა 1964 წლის მიღწევა და 1978 წელს მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. ამ წარმატებათა ნამდვილი გვირგვინი 1981 წლის 13 მაისს მოპოვებული ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი იყო.

წარმოუდგენელია ეს წარმატებები 1964 წლის 18 ნოემბრის გარეშე, სწორედ მაშინ ირწმუნეს დამაჯერებლად თავიანთი ძალა ჩვენმა ფეხბურთელებმა. 1964 წლის „ოქროს ბიჭებს" დიდი წვლილი მიუძღვით იმ მოპოვებულ გამარჯვებათა ნუსხაში, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. მათს ამაგს გახსენება და სათანადო დაფასება სჭირდება. ამიტომაც მისასალმებელია საქართველოს „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თაოსნობა, რომელმაც ამ თარიღთან დაკავშირებით ნამდვილი საფეხბურთო ზეიმის მოწყობა განიზრახა: **30 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს ევროპული ფეხბურთის გრანდების ნამდვილ საფეხბურთო სპექტაკლს სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ მესხის სახელობის თასზე.** მინიფეხბურთი თბილისელთათვის ერთ-ერთ საყვარელ სახეობად იქცა, ჩვენს ქალაქში გამოსულან უმაღლესი ლიგის გუნდები, მოწყობილა საინტერესო ტურნირებიც, მაგრამ მსგავსი მასშტაბის ასპარეზობა ჯერ არ გამართულა. თბილისის „დინამოს" საიუბილეო ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ნაკრებებმა, აგრეთვე მთელმა რიგმა საბჭოთა კლუბებმა.

თბილისის სპორტის სასახლეში დაგებენ დასავლეთ გერმანიიდან სპეციალურად ჩამოტანილ ხელოვნურ საფარს, საიუბილეო ტურნირთან დაკავშირებით მოასპარეზეთათვის მზადდება ვიმპელები და საიუბილეო მედლები, იბეჭდება, აგრეთვე, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული აფიშები. რაღა თქმა უნდა, იმავე დღეებში გაიმართება იმ შემადგენლობათა მატჩიც, რომლებიც 25 წლის წინათ ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ — „დინამო" — „ტორპედო": ეს უთუოდ მეტ ელფერს შესძენს ამ ასპარეზობას.

მაყურებელთა დიდ ინტერესს გამოიწვევს სერგო კოტრიკაძის, ილია დათუნაშვილის, მურთაზ ხურცილავას, სლავა მეტრეველის, მიხეილ მესხის, ვლადიმერ ბარქაიას, ბორის და გიორგი სიჭინავების, გურამ ცხოვრებოვის, ჯემალ ზეინკლიშვილის და სხვა „ოქროს ბიჭების" ხილვაც. ძლიერი ოსტატები გამოვლენ ტორპედოელთა რიგებშიც გუნდის თავის — ვალენტინ ივანოვის მეთაურობით. რამდენიმე მოთამაშე ამ კლუბებიდან ნაადრევად წავიდა ცხოვრებიდან, მათ შორის „დინამოს" ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კაპიტანი შოთა იამანიძე, ვახტანგ რეხვიაშვილი, ტორპედოელთა რიგებში აღარ იქნება წლის საუკეთესო ფეხბურთელი ვალერი ვორონინი. მათს ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივს მიაგებენ სპორტის სასახლეში მოსული გულშემატკივრები.

30 ნოემბრამდე რაღა დარჩა. ვისთვისაც ახლობელი და საყვარელია ფეხბურთი, ვისაც საკუთარი თვალით უნახავს ამ ვირტუოზთა გამოსვლები მწვანე მინდორზე, ან ვისაც რაიმე სმენია ფეხბურთის ამ ჯადოქრების შესახებ. ყოველნაირად მხარში უნდა ამოუდგნენ ასპარეზობის ორგანიზატორებს. იმედია, ყველაფერს იღონებენ ტურნირის „სპონსორებიც", რომლებიც ამ საინტერესო ღონისძიებას საკმაოდ გამოუჩნდებიან. მათზე ბევრი რამაა დამოკიდებული, გაიმართება თუ არა მსგავსი საინტერესო ასპარეზობანი სხვა დროსაც, როგორი კმაყოფილების გრძნობით დატოვებენ ჩვენს დედაქალაქს მსოფლიო და ევროპული ფეხბურთის აღიარებული ოსტატები. „სპონსორებს", ვისაც სურთ, რომ თავისი წვლილი შეიტანონ ამ ღონისძიებაში, ვამცნობთ, „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ანგარიშის ნომერს: 000700466, მრეწვმშენბანკი, პირველი მაისის რაიონი.

**ზაზა კახაძე.**

**სურათებზე: თბილისის „დინამო-64" — „ოქროს ბიჭებს" გულშემატკივრებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს თბილისის სპორტის სასახლეში; გამარჯვების წამი ტაშკენტის „ფახთაქორის" სტადიონზე.**

ფოტოები „ლელოს" არქივიდან.

# 15 ნოემბერს...

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის III შესარჩევ ჯგუფში, საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ნაკრები გუნდების 8 ნოემბერს დანიშნული მატჩი გაიმართება 15 ნოემბერს.

ჩვენი ნაკრებისა და თურქეთის გუნდის შეხვედრა გაიმართება იმავე დღეს, როცა შედგება ავსტრიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთა მატჩი. 15 ნოემბერს ორივე შეხვედრა დაიწყება ერთსა და იმავე დროს.

## ფიფა-ს სანქციები

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) სადისციპლინო კომისიამ მკაცრი სასჯელები გამოუტანა წესრიგის დამრღვევებს. ასე, მაგალითად, საერთოდ ყველა დონეზე აეკრძალა ფეხბურთის თამაში ჩილის ნაკრების მეკარესა და კაპიტანს რობერტო როხასს, რომელიც მძიმედ დაშავების სიმულაციას ეწეოდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დროს. ამის გამო ჩილის ნაკრებმა არ დაამთავრა მატჩი ბრაზილიელებთან, რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა.

ერთი წლის დისკვალიფიკაცია მისცეს იუგოსლავიის ნაკრების ნახევარმცველ მეჰმედ ბაზდარევიჩს, რომელმაც 11 ოქტომბერს ნორვეგიელებთან შეხვედრის დროს შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის არბიტრს. ამრიგად, ბაზდარევიჩი ვერ ითამაშებს იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე.

## გულშემატკივართა პროტესტი

**დიდი ბრიტანეთის** მთავრობას გადასცეს ამ ქვეყნის 400 ათასი ფეხბურთის მოყვარულის მიერ ხელმოწერილი პეტიცია, სადაც გამოთქმულია პროტესტი გულშემატკივრების პირადი ბარათების შემოღებასთან დაკავშირებით.

ბარათების შემოღება ხულიგნებთან ბრძოლისთვისაა გამიზნული და განიხილება როგორც ერთ-ერთი ძირითადი პირობა კანონისა, რომლის მიღებაც ნოემბერში აქვს გადაწყვეტილი მთავრობას.

ბარათების წინააღმდეგია ინგლისის ფეხბურთის გულშემატკივართა ასოციაციაც. მისი აზრითაც ხულიგნებთან ბრძოლის ეს მეთოდი გამართლებული არაა.

— მთავრობას სურს ხალხს დაანახოს, რომ ჩვენთან რაღაც კეთდება ამ მიმართულებით, მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს, — განაცხადა ასოციაციის წარმომადგენელმა როგან ტეილორმა.

## „კოკა-კოლა" უკმაყოფილოა

**რიო-დე-ჟანეირო.** საქვეყნოდ ცნობილ, უალკოჰოლო სასმელების ფირმას „კოკა-კოლას" მრავალი წლის მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებს სპორტთან. იგი ხელგაშლილად აფინანსებს ცალკეულ სპორტსმენებს, გუნდებს, შეჯიბრებებს და მათგან მოითხოვს ფირმის ღირსეულ რეკლამირებას.

„კოკა-კოლა" ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებსაც მფარველობს, გუნდს ყოველწლიურად მილიონ დოლარს უხდის. მაგრამ ბრაზილიელთა ბოლოდროინდელი „წარმატებები" მას აღარ აკმაყოფილებს, ამიტომაც იგი დაემუქრა ნაკრების ხელმძღვანელობას: თუ თამაშის ხარისხს არ გამოასწორებთ, ჰონორარს შეგიმცირებთ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

# ჩემპიონატის უფერული ფინიში

**როგორც** იქნა, დამთავრდა მორაგბეთა 26-ე საკავშირო ჩემპიონატი. როგორც იქნაო, იმიტომ ვამბობთ, რომ ჩემპიონი ჯერ კიდევ 9 ოქტომბერს გამოვლინდა. ყველა გამოტოვებული მატჩი კი 26 ოქტომბრამდე უნდა გამართულიყო. მაგრამ არ გამართულა: კიევის „ავიატორი" თბილისში „ელმავალთან" სათამაშოდ მეორედაც არ გამოცხადდა, რისთვისაც წაგება (0:30) ჩაეთვალა და ქულითაც დაჯარიმდა.

ბოლო ტურებისა და გამოტოვებული შეხვედრების შედეგები: ეტს (კრასნოიარსკი) — სსა (მონინო) 9:22. „ფილი" (მოსკოვი) — „სლავა" (მოსკოვი) 10:13. სსა — „აია" (ქუთაისი) 22:7. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — ეტს 24:12. „სლავა" — „ელმავალი" 15:3. „ავიატორი" — „ფილი" 9:3, „ავიატორი" — „ელმავალი" 3:7.

ამრიგად, ერთობ მდორე და უშფოთველი ჩემპიონატის ფინიშზე მაინც მოხდა მცირე მოულოდნელობა: ჩემპიონატის ხელმოცარულმა ფავორიტმა — კრასნოიარსკის გუნდმა შინ წააგო სსა-სთან, მეტოქეს ვერცხლის მედლები „ჩააბარა", თავად კი ბრინჯაოსას „დასჯერდა". შემდეგ ციმბირელებს თასის გათამაშებაშიც მოეცარათ ხელი: ფინალურ შეხვედრაში, რომელიც მოსკოვში გაიმართა, იქაურ „სლავასთან" დამარცხდნენ — 3:12.

ბოლო ტურებში რიგიანად ისპარეზა „ელმავალმა". მართალია, მან თანაბარ ბრძოლაში სტუმრად „სლავასთან" წააგო, მაგრამ შემდეგ კიევში, წელს უკვე მეორედ, „ავიატორს" მოუგო და თუ შინაც სძლევდა უკრაინის გუნდს, გადაასწრებდა მას და მეექვსე ადგილს დაიკავებდა. „ავიატორმა", ეტყობა, ზედმეტ ხარჯებს თავი აარიდა და იმედგადაწურული თბილისს აღარ ჩამოვიდა.

ასე დამთავრდა წლევანდელი ჩემპიონატი, რომელიც უეჭველია, ისტორიაში შევა იმით, რომ ყველაზე არაორგანიზებული და ქაოსური იყო. თავად განსაჯეთ: ჩემპიონატის ორგანიზატორებმა სამჯერ შეცვალეს დასკვნითი ეტაპის გამართვის ვადა; ორივე (უმაღლეს და პირველ) ლიგაში გასამართავი 416 მატჩიდან გადაიდო 41; სექტემბრიდან, როცა დადგა გადამწყვეტი თამაშების გამართვის დრო, მსაჯებს წესად ექცათ მატჩებზე გამოუცხადებლობა; გაგანია ჩემპიონატში კი საკავშირო სპორტსახკომის რაგბის მთავარი მწვრთნელი ედგარ თათურიანი ამერიკულ ფეხბურთში გადავიდა და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდიც თან გაიყოლა, რის გამოც ამ უკანასკნელმა შეჯიბრება შუა გზაზე მიატოვა.

### გათამაშების ცხრილები

**საბოლოო მდგომარეობა**
(ფრჩხილებში მოტანილია გუნდების შარშანდელი მაჩვენებლები)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **„ა" ჯგუფი** | | | | | |
| 1(1). | „აია" (ქ.) | 10 | 8 | 0 | 2 | 16 |
| 2(4). | სსა (მონ.) | 10 | 7 | 1 | 2 | 15 |
| 3(2). | ეტს (კრ.) | 10 | 5 | 0 | 5 | 10 |
| 4(6). | „ლოკ" (მ.) | 10 | 4 | 1 | 5 | 9 |
| | **„ბ" ჯგუფი** | | | | | |
| 5(5). | „სლავა" (მ.) | 10 | 5 | 2 | 3 | 12 |
| 6(7). | „ელმ." (თბ.) | 10 | 4 | 0 | 6 | 8 |
| 7(8). | „ავ." (კ.) | 10 | 2 | 3 | 4 | 6 |
| 8(11). | „ფილი" (მ.) | 10 | 1 | 1 | 8 | 3 |
| | **„გ" ჯგუფი** | | | | | |
| 9(10). | „ზვ." (ტაშ.) | 12 | 10 | 0 | 2 | 20 |
| 10(3). | ასკ (ა-ა) | 12 | 8 | 1 | 3 | 17 |
| 11(9). | „ელ." (ტირ.) | 12 | 8 | 0 | 4 | 16 |
| 12(14). | „სოკ". (ლვ.) | 12 | 6 | 1 | 5 | 13 |
| 13(18). | კპი (კ.) | 12 | 6 | 0 | 6 | 12 |
| 14(22). | სტმ (კრ.) | 12 | 3 | 0 | 9 | 6 |
| 15(15). | სტზ (ხარკ.) | 12 | 0 | 0 | 11 | -1 |
| 16(12). | „სპ." (მ.) | — | — | — | — | — |

პირველ 12 გუნდს გაისად უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება აქვს. უძლიერესთა წრიდან მოსკოვის „სპარტაკის" ადგილი დაიკავა ლვოვის „სოკოლმა", რომელიც აქ უკანასკნელად 1986 წელს გამოდიოდა.

---

საჭადრაკო კომპოზიცია — ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

# შენიღბული სვლა

**...„უდავოა, რომ საჭადრაკო კომპოზიცია მეტად მიმზიდველი და ჭკუა-გონებისათვის სასარგებლო დარგია. მაგრამ იგი ხომ გარკვეულ ცოდნასა და თეორიულ მომზადებასაც საჭიროებს. გთხოვთ, მოგვითხროთ იმ ძირითადი ტაქტიკური ხერხების შესახებ, რომელსაც საჭადრაკო კომპოზიტორები თავისი ნაწარმოებების შესაქმნელად იყენებენ" (დათო ტაბლიაშვილი, თეიმურაზ ხოსელია — თბილისი).**

**საჭადრაკო** კომპოზიციაში მართლაც ბევრი ტაქტიკური ხერხი გამოიყენება და ყველა მათგანი პრაქტიკული თამაშიდან არის გადმონერგილი. მხოლოდ საჭადრაკო ხელოვნების დარგი — კომპოზიცია მათ მძაფრ სიუჟეტურ განვითარებას აძლევს, მკაფიოდ და რელიეფურად გამოხატავს და ამით ხაზს უსვამს თითოეული მათგანის თავისებურებას, სილამაზეს. ასეთებია, მაგალითად, ფიგურის დაბმა, აშვება, ბლოკირება, გატყუება, მიტყუება, ჩართვა, ამოქოლვა, გადაკეტვა, გზის გაკვალვა, ქიში და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ ტაქტიკური ხერხების, ანუ იდეების განხორციელება ერთი ან რამდენიმე სვლით ხდება და ფიგურის თამაში შეიძლება აშკარა ან შენიღბულ ხასიათს ატარებდეს.

ცხადია, ჭადრაკში და კომპოზიციაშიც განუმეორებელი ლაზათი აქვს შენიღბულ ჩანაფიქრს. იგი, ერთი შეხედვით, გაუგებარი, თითქოს რაღაც საიდუმლოებით მოცული მანევრია და მისი ამოცნობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ერთ-ერთ ასეთ შენიღბულ ტაქტიკურ ხერხს ფიგურის **ჩასაფრება** წარმოადგენს. მისი არსი ის არის, რომ რომელიმე შორსმსროლელი ფიგურა (ლაზიერი, ეტლი, კუ) თავისი ან მეტოქის ფიგურის უკან დგება და მხოლოდ მათი წასვლის შემდეგ ავლენს ძალას — მოქმედებს განსაზღვრულ ხაზსა ან უჯრაზე. ჩასაფრების ორივე სახე — **უბრალო** (როცა ჩასაფრება ერთი ფიგურის უკან ხდება) და **რთული** (როცა ჩასაფრება რამდენიმე ფიგურის უკან ხდება) ფართოდ გამოიყენება კომპოზიციის ჟანრებში და ამ თემაზე საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარი კოლექციაა შექმნილი.

**ა. გავრილოვი, 1903**



შამათი 2 სვლაში

ამ კლასიკური ამოცანის, რომელიც ჩვენი საუკუნის დამდეგს გერმანელი ო. ბლუმენტალის მიერ შეგროვებული მინიატურების ცნობილ კრებულში დაისტამბა, ამოხსნაა: 1. ლc7 ცუგცვანგი! ლაზიერი ერთდროულად ორი ფიგურის (თეთრი ეტლის და შავი პაიკის) უკან საფრდება. თითოეული მათგანის ამოძრავება კი „დედოფლის" ამოქმედებას იწვევს: 1...ed 2.ლ:h7X და 1....მფh4 2.ეh6X (ლაზიერი g3 უჯრას უტევს).

**ვ. კობეცი, 1927**



შამათი 3 სვლაში

აქ კი ლაზიერის ჩასაფრების მთელი სერიაა წარმოდგენილი. 1.ლh1! (ქმნის 2.ლh4 მუქარას და ამავე დროს შავი კუს უკან საფრდება) კh2 2.ლa1! (შავი კუ გაიხსნა და ახლა ლაზიერი ეტლის უკან ჩასაფრდა, თანაც შექმნა მუქარა 3.ლa3X) ეa2 3. კb4X (რადგან ეტლმა დიაგონალი გახსნა). მეორე თემატური ვარიანტი: 1....e4 2.ლh8! (ლაზიერის ახალი ჩასაფრება ამჯამად შავი მხედრის უკან და მუქარა 3.ლf8X) მe6 (კვლავ გაიხსნა დიაგონალი) 3. კb4X.

**ლ. კუბელი, 1906**



შამათი 4 სვლაში

ამოსახსნელად გთავაზობთ კომპოზიციის კლასიკოსის ლეონიდ კუბელის ოთხსვლიან ამოცანას, რომელიც მან თავისი ბრწყინვალე შემოქმედებითი გზის დასაწყისში შექმნა. იმედია, მკითხველები ამოიცნობენ ჩასაფრებულ ფიგურას (დაფაზე იგი ერთადერთია!) და „გასაიდუმლოებულ" სვლასაც მიაგნებენ. იგი ხომ ამ ნაწარმოების კულმინაციურ მომენტს შეადგენს.

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

## ამოხსნა

„ლელოს" 15 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი რ. თავარიანის ეტიუდის ამოხსნაა: 1.კ:e3+ მფ:f1 2. მფ:d6 მფ:g2 3. კf4 მფf3 4.მფe5 მფg4 5. მფf6 g5 6. მფe5! gf 7gf მოგებით, ან 1....მფ:e3 2. კc4 მფf2 3. კd5 მფ:g3 4. მფ:d6 g5 5. მფe5 f4 6. კf3 g4 7. მფe4! gf 8. gf მოგებით. ორიგინალური ექო — თამაში.

ეტიუდი პირველებმა ამოხსნეს: რ. კახიძემ (ბათუმი), ა. ჩაფიჩაძემ (თერჯოლა), ა. და ნ. ანდრიაშვილებმა, ლ. ხარატმა, გ. ფანცხავამ (ყველა — თბილისი).

---

## „სპორტლოტო"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1989 წლის 43-ე და „გულმოწყალების" სპეციალური ტირაჟების შედეგები, რომლებიც 22 ოქტომბერს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.488.860 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (28) მოგება 1.595 მანეთია, ოთხისთვის (2.404) — 27 მანეთი, სამისთვის (40.034) — 3 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 38.835 ვარიანტი. 6-0, 5-1, 4-67, 3-995.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 13.854.818 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (31) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (5.098) — 135 მანეთი, სამისთვის (179.971) — 6 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 399.974 ვარიანტი, 5-1 (საგარეჯო), 4-130, 3-5100.

**„გულმოწყალება" „5 36"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 4.207.055 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (21) მოგება 7:597 მანეთია, ოთხისთვის (1.713) — 151 მანეთი, სამისთვის (53.008) — 7 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 109.215 ვარიანტი. 5-0, 4-8 3-1514.

43-ე, „გულმოწყალებისა" და 34-43 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 11 ნოემბრიდან 11 დეკემბრის ჩათვლით.

## „სპორტპროგნოზი"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 1989 წლის 43-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 20-22 ოქტომბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.268.429 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (47) მოგება 2.08 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1.109) — 353 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 163.965 ვარიანტი. 13-0, 12 11-69.

43-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 11 ნოემბრიდან 11 დეკემბრის ჩათვლით.

●●●●●●●●●●●●●

## პოპ-ვარსკვლავი სპონსორიცაა

**კანბერა.** ცნობილი ამერიკელი პოპ-ვარსკვლავი ტინა ტერნერი სპორტის დიდი მოყვარულია. იგი თვითონაც აქტიურად ვარჯიშობს და ხშირად ფინანსურ დახმარებასაც უწევს სპორტსმენებს.

შარშან იგი ავსტრალიელი რაგბისტების სპონსორი იყო. იგი სპორტის ამ სახეობას მატერიალურ დახმარებას წლეულსაც უწევს. ამას წინათ ტერნერმა 2 მილიონ 300 ათასი დოლარი გადაურიცხა ავსტრალიის რაგბის ფედერაციას სპორტის ამ სახეობის შემდგომი პოპულარიზაციისთვის.

---

# ოლიმპიური მოზაიკა

● **ნაირობი.** თანამდებობიდან განთავისუფლებულია კენიის მძლეოსნობის ფედერაციის შეფ-მწვრთნელი მაიკ კოსგეი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით კენიის მძლეოსნებმა სეულის თამაშებში ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს. მიზეზს არ ასახელებენ, მაგრამ ცნობილია, რომ შარშან იმავე თანამდებობიდან მოიხსნა 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი კენი რობერტ ოუკუ. მაშინ მას ბრალად დაედო ფინანსიურ მაქინაციებში მონაწილეობა.

● **მანჩესტერი.** დიდი ბრიტანეთის სპორტის საბჭო მხარს უჭერს ამ ქალაქს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა ზაფხულის 1996 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე. თანაც საბჭომ წახალისების მიზნით მანჩესტერს 50 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოუყო. ეს თანხა გამოიყენება წინასაოლიმპიადო შეჯიბრებებისათვის.

● **ბუდაპეშტი.** აქ გაიმართა საერთაშორისო სპორტული ფედერაციების გენერალური ასოციაციის ყველაზე დიდი და მასშტაბური კონგრესი. მასში მონაწილეობა მიიღო ამ ორგანიზაციის წევრმა სამოცდათორმეტმა საერთაშორისო ფედერაციამ. კონგრესს დაესწრნენ აგრეთვე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, იუნესკო-ს მსოფლიო საბჭოს წარმომადგენლები სპორტის დარგში, ევროპის სპორტული საბჭოს და სპორტული არბიტრაჟის ხელმძღვანელები. 1996 წლის ოლიმპიური თამაშების პრეტენდენტი ქალაქების (ათენი, ატლანტა, ბელგრადი, მანჩესტერი, მელბურნი, ტორონტო) დელეგაციები და სპორტის ცნობილი სპონსორები — „ადიდასი", აი-ბი-ემი, „სეიკო" და „კოკა-კოლა".

● **ტოკიო.** იმისათვის, რომ ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის ტრანსლაციის უფლება იაპონიაში მხოლოდ მათ ჰქონდეთ ენ-ეიჩ-კეისა და ენ-ტი-ბის ტელეკომპანიები დროებით გაერთიანდნენ კორპორაციაში „ბარსელონა ოლიმპიკ ჯაპან პული". გარიგება ბარსელონის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტთან იაპონელებს 57,5 მილიონი დოლარი დაუჯდათ, ამავე დროს კორპორაციამ დამატებით გადაიხადა 5 მილიონი დოლარი ტექნიკური თანამშრომლობისა და დახმარებისათვის.

● **ციურიხი.** ცნობილმა შვეიცარიელმა სამთო-მოთხილამურემ, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა, 27 წლის პირმინ ცურბრიგენმა ითხოვა 22 წლის მოთხილამურე მონიკა ქიულიენი. საქორწინო ვახშამს 220 სტუმარი დაესწრო. ცურბრიგენმა განაცხადა, რომ წლევანდელი სეზონის შემდეგ დაანებებს თავს დიდ სპორტს.

● **ტოკიო.** ორმა მსხვილმა იაპონურმა კორპორაციამ „მაცუსიტა ელექტრონიკს ინდასტრიალმა" და „რიკომ" ხელშეკრულება დასდეს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ურთიერთთანამშრომლობაზე. კორპორაციები მოემსახურებიან ალბერვილისა და ბარსელონის თამაშებს ელექტრონული ხელსაწყოებით, სოკ-ი კი მათ უფლებას აძლევს გამოიყენონ ოლიმპიური სიმბოლიკა.

● **ლას-ვეგასი.** სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კრივში (54 კგ) ამერიკელი კენედი მაკინი დაპატიმრებულია 15 წლის გოგონას გატაცების მცდელობისათვის. ოლიმპიადის შემდეგ მაკინი პროფესიონალებში გადავიდა, რამდენიმე შეხვედრა მოიგო და პრემიის სახით 100 ათასი დოლარი მიიღო.

● **ვაშინგტონი.** სეულის ოლიმპიადის მეორე ჩემპიონიც (კრივში), კენიელი რობერტ ვანგილა სამშობლოში დაბრუნებისთანავე პროფესიონალებში გადავიდა და ამერიკაში დასახლდა. პროფესიულ რინგზე დებიუტი მან კარგად ჩაატარა, მაგრამ ბოლო დროს თითქოს გამოეცალა ძალა და შესამჩნევად დასუსტდა. ექიმთა დასკვნა ასეთია: შინ ვანგილა ბოსტნეულის კერძებით იკვებებოდა და ძალას ეს აძლევდა. ამერიკაში კი იგი მხოლოდ რესტორნებში სადილობს, რაც მის ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედებს.

---

რედაქტორის მოადგილე
**უ. ჭიჭინაძე.**

**საქართველოს სსრ** სპორტსახკომი აცხადებს კონკურსს სპორტსახკომის გამოყენებითი სპორტის და მძლეოსნობის განყოფილების უფროსი მწვრთნელის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად მშვილდოსნობაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება სპორტსახკომის თავმჯდომარის სახელზე და სათანადო საბუთები საქართველოს სპორტსახკომში უნდა წარადგინონ ორი კვირის ვადაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ცნობებისთვის მიმართეთ: თბილისი, ჭავჭავაძის 49-ა. ტელ: 23-50-09, 23-50-06.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი
ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

უე 10 531